



დისტრიბუცია

ANDROID

Apex Distribution Agent

პროგრამის შესახებ.....	3
პროგრამაში შესვლა.....	3
თვისებები.....	4
მთავარი მენიუ.....	6
ვიზიტები	6
შეკვეთა.....	7
გაყიდვა.....	9
გადახდა	12
დაბრუნება.....	12
დაბრუნების წამოღება.....	14
მიტანის დადასტურება.....	14
მიტანის სია.....	16
საცალო	17
შეკვეთები.....	20
დაბრუნებები.....	21
კლიენტები.....	22
დავალებები	24
გეგმა	25
სალაროს ამონაწერი	26
ბალანსი	27
ნაშთები.....	28
საქონლის კატალოგი	29
სხვა.....	30

პროგრამის შესახებ


აპექსის დისტრიბუციის პროგრამა – Apex Distribution Agent არის მობილური მოწყობილობების აპლიკაცია და განკუთვნილია დისტრიბუციის სფეროს თანამშრომლებისთვის. პროგრამით შესაძლებელია როგორც წინასწარი შეკვეთების სისტემით რეალიზაცია, აგრეთვე ბორტის რეალიზაციის სისტემით მუშაობა. პროგრამის მომხმარებლები შეიძლება იყვნენ პრესელერები, ბორტის თანამშრომლები, სუპერვაიზერები, მიმტანები. ყველა მომხმარებლისთვის ხდება უფლებების გაწერა იმის მიხედვით, თუ რა ოპერაციების შესრულება მოუწევს მუშაობის პროცესში. პროგრამის მომხმარებელი თითოეული კლიენტისთვის ამატებს ვიზიტს. ვიზიტის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების დამატება: წინასწარი შეკვეთა, ბორტის გაყიდვა, საცალო რეალიზაცია, გადახდა (მყიდველის დავალიანების დაფარვა), უკან დაბრუნება (რეალიზებული პროდუქციის), მიტანის დადასტურება (წინასწარი შეკვეთის), დაბრუნების წამოღება. თითოეულ მომხმარებელს პროგრამაში ექნება მხოლოდ იმ ოპერაციების დამატების საშუალება, რომლებიც საჭიროა მისი მოვალეობების შესასრულებლად.

პროგრამაში შესვლა

დისტრიბუციის პროგრამაში შესასვლელად საჭიროა Android მოწყობილობაში ჩაწეროთ პროგრამა: Apex Distribution Agent. პროგრამის გახსნისთვის გამოიყენეთ პიქტოგრამა



. შედეგად ეკრანზე გამოვა ავტორიზაციის ფანჯარა:



Apex Distribution პროგრამის მომხმარებლის დამატება და მისთვის უფლებების მინიჭება ხდება Apex ERP პროგრამიდან.

იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაიაროს ავტორიზაცია, აუცილებელია პროგრამის პარამეტრებში მითითებული იყოს სერვერის მისამართი. ავტორიზაციის გავლისთვის მომხმარებელმა უნდა შეავსოს მომხმარებლისა და პაროლის ველები. შესვლის დილაკზე დაჭერით ხდება პროგრამაში შესვლა. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული მოწყობილობიდან კონკრეტული მომხმარებლის ავტორიზაციის გავლა ხდება პირველად, მუშაობის დასაწყებად აუცილებელია მონაცემების სინქრონიზაცია. სინქრონიზაცია ასევე საჭიროა განახლებული ინფორმაციის სერვერიდან ჩამოსატვირთად.

პროგრამის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ის დილაკები და ოპერაციები, რომლებიც საჭიროა მისი ფუნქციების შესასრულებლად. ამ უფლებების მართვა ხდება Apex ERP პროგრამიდან.

თვისებები

პროგრამის გახსნის შემდეგ, ავტორიზაციის გავლამდე შესაძლებელია პროგრამისთვის პარამეტრების გაწერა. ამისთვის გამოიყენეთ ზედა მარჯვენა კუთხეში არსებული ღილაკი



. თვისებების ცვლილება შესაძლებელია ავტორიზაციის გავლის შემდეგაც – მენიუ -> [თვისებები](#).

შედეგად ეკრანზე გამოვა ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ პროგრამის სხვადასხვა პარამეტრი:

1. სერვერის მისამართი – მომხმარებლის ავტორიზაციისთვის აუცილებელია ამ გრაფაში მითითებული იყოს იმ სერვერის მისამართი, რომელზეც განთავსებულია მონაცემთა ბაზა.
2. Read Timeout – ინფორმაციის ამოკითხვის მაქსიმალური დრო
3. Write Timeout – ინფორმაციის ჩაწერის მაქსიმალური დრო
4. ენა – პარამეტრით შეგიძლიათ შეცვალოთ პროგრამის სამუშაო ენა.
5. PIN – პინი გამოიყენება პროგრამის თვისებების დასაცავად. როგორც აღვნიშნეთ, თვისებების შეცვლა შესაძლებელია ავტორიზაციის გავლამდეც, ამიტომ თუ არ გსურთ მოწყობილობაში ვინმემ უნებართვოს შეცვალოს თვისებები გამოიყენეთ PIN.
6. სინქრონიზაციის სიხშირე – პარამეტრით ეთითება რა სიხშირით მოხდეს მონაცემების სინქრონიზაცია, ანუ ინფორმაციის გაცვლა მოწყობილობის ლოკალურ ბაზასა და სერვერზე არსებულ ბაზას შორის. იმ შემთხვევაში თუ სინქრონიზაცია გათიშულია, მაშინ მონაცემების გაცვლა უნდა მოხდეს ხელით (მენიუ -> [სინქრონიზაცია](#))
7. სინქრონიზაცია მხოლოდ Wi-Fi-ით – თუ მონიშნავთ ამ პარამეტრის ალამს, მაშინ მონაცემების ავტომატური სინქრონიზაცია მოხდება მხოლოდ Wi-Fi-ით. იმ შემთხვევაში თუ გრაფა მოუნიშნავი იქნება, მაშინ მონაცემების სინქრონიზაცია მოხდება მობილური ინტერნეტითაც.
8. მონაცემების გასუფთავება – ღილაკის გამოიყენებით ხდება პროგრამის ლოკალური ცნობარის გასუფთავება. ამის შემდეგ პროგრამაში მუშაობის გასაგრძელებლად აუცილებელია სინქრონიზაცია.
9. მომხმარებლის ბაზის შენახვა – ბრძანება უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ განხორციელებული ოპერაციების მონაცემთა ბაზის შენახვას მოწყობილობაში ან Cloud სერვერზე.
10. დაბრუნება რამდენიმე საბუთიდან – იმ შემთხვევაში, თუ პარამეტრი მონიშნულია, მაშინ დაბრუნების საბუთის დამატებისას მომხმარებელს გამოუჩნდება დასაბრუნებელი საქონლის სია, საიდანაც შეძლებს აირჩიოს დასაბრუნებელი საქონელი. თუ ალამი გამორთულია, მაშინ

დაბრუნების საბუთის დამატებისას მომხმარებელს სიაში გამოუჩნდება რეალიზაციის საბუთები, საიდანაც უნდა აირჩიოს ის საბუთი, რომლიდანაც იბრუნებს საქონელს და ამ საბუთიდან აირჩიოს დასაბრუნებელი საქონელი.

11. შტრიხკოდი საქონლის სიაში – თუ პარამეტრის ალამი მონიშნულია, მაშინ მომხმარებელს შეკვეთის დამატებისას სასაქონლო სიაში საქონლის დასახელებებთან ერთად გამოუჩნდება შტრიხკოდებიც. თუ ალამი არ არის მონიშნული, მაშინ სიაში გამოჩნდება მხოლოდ საქონლის დასახელებები.

12. ჯამური რაოდენობის ჩვენება – იმ შემთხვევაში თუ ალამი ჩართულია, შეკვეთის ჯამურ თანხასთან ერთად გვიჩვენებს შეკვეთაში არსებული საქონლის ჯამურ რაოდენობასაც. თუ ალამი გამორთულია, მაშინ არ ჩანს შეკვეთაში არსებული საქონლის ჯამური რაოდენობა.

13. ზომის ერთეული – გრაფა აქტიური ხდება იმ შემთხვევაში თუ მონიშნულია ალამი – „ჯამური რაოდენობის ჩვენება“. ამ ველში მითითებული ზომის ერთეული მიეწერება შეკვეთის ჯამური რაოდენობის რიცხვს.

14. დასრულებული შეკვეთის გაფერადება – იმ შემთხვევაში თუ ალამი მონიშნულია, მაშინ დასრულებული შეკვეთა სიაში იქნება გაფერადებული.

მთავარი მენიუ

პროგრამის მომხმარებლებს მენიუში გამოუჩნდებათ მხოლოდ ის ფორმები, რომლებზეც ექნებათ უფლება თავიანთი ფუნქციებიდან გამომდინარე.

ვიზიტები

☰	ვიზიტები	🔍	📅
ფილიალი N3 (შპს "ნიუ ვიქტორია") 13:33			
რუსთაველის 18			
☑ 149.00ლ დ 0.00ლ ➡ 0.00ლ			
☑ 0.00ლ დ 0.00ლ ➡ 0.00ლ			
54 ცალი			
ფილიალი N2 (შპს "აისი") 12:46			
☑ 138.00ლ დ 50.00ლ ➡ 0.00ლ			
☑ 0.00ლ დ 0.00ლ ➡ 0.00ლ			
69 ცალი			
ფილიალი N2 (შპს "აისი") 12:44			
☑ 194.00ლ დ 100.00ლ ➡ 0.00ლ			
☑ 0.00ლ დ 0.00ლ ➡ 0.00ლ			
44 ცალი			
ფილიალი N1 (შპს "აისი") 16:41			
☑ 50.00ლ დ 0.00ლ ➡ 0.00ლ			
☑ 0.00ლ დ 0.00ლ ➡ 0.00ლ			
25 ცალი			
Total: ☑ 531.00ლ დ 150.00ლ ➡ 0.00ლ			
Total: ☑ 0.00ლ დ 0.00ლ ➡ 0.00ლ			

ვიზიტების ფორმიდან ხდება ძირითადი ოპერაციების განხორციელება. ფორმაში შესვლისას სიაში ჩანს მომხმარებლის მიერ დამატებული მიმდინარე დღის ვიზიტები. ფორმის ზედა მარჯვენა კუთხეში არსებული  ღილაკით შეგიძლიათ შეცვალოთ თარიღი და ნახოთ თქვენთვის სასურველი დღის ვიზიტები.

ძებნის გამარტივებისთვის გამოიყენეთ  ღილაკი. ვიზიტის მოძებნა შეგიძლიათ კომპანიის (ფილიალის) დასახელებით ან საიდენტიფიკაციო ნომრით.

ახალი ვიზიტის დამატებისთვის დააჭირეთ პლიუს  ღილაკს. შედეგად ეკრანზე გამოვა კლიენტების ასარჩევი ფორმა. სიაში გამოდის მხოლოდ ის კლიენტები, რომელზე

უფლებაც აქვს მომხმარებელს.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში შესულია სუპერვაიზერი, მაშინ კლიენტების ასარჩევ ფორმაში გამოჩნდება პრესელერის ასარჩევი ველი. პრესელერის მითითების შემდეგ სიაში დარჩება მხოლოდ არჩეული პრესელერის კლიენტები.

←	აირჩიეთ კლიენტი	🔍
აირჩიეთ პრესელიერი		
ი/მ ნონა ქუტუაშვილი(სათაო)(5661)		
ლაგოდები სოფ.ჩადუნდანი -566.00ლ/0.00ლ		
ი/მ მარინა კოკორაშვილი(სათაო)(5850)		
ყვარელი ჭავჭავაძის 101 -0.12ლ/0.00ლ		

←	აირჩიეთ კლიენტი	🔍
ფიზიკური პირი		
ფილიალი N3 (შპს "ნიუ ვიქტორია") (1410NM1300)		
რუსთაველის 18 1,421.32ლ/0.00ლ		
ფილიალი N1 (შპს "აისი")(010)		
1,848.46ლ/0.00ლ		

თუ პროგრამაში შესულია ბორტის მომხმარებელი, რომელსაც აქვს საცალო გაყიდვების განხორციელების უფლება, მაშინ კლიენტების ასარჩევ ფორმაში გამოუჩნდება ფიზიკური პირის ასარჩევი ღილაკი.

ვიზიტის დასაწყებად აუცილებელია კლიენტის არჩევა, სასურველი კლიენტის დასახელებაზე დაჭერისას ფორმის ქვედა მხარეს გამოვა შეტყობინება:


ვიზიტის დაწყება **ახალი**.

დააჭირეთ ღილაკს _ „ახალი“. იმ შემთხვევაში თუ წინა ვიზიტი არ არის დასრულებული, მაშინ კლიენტის არჩევისას გამოვა შეტყობინება:

დახურეთ მიმდინარე ვიზიტი! **გახსნა**.

„გახსნა“-ზე დაჭერისას გაიხსნება მიმდინარე ვიზიტი, რომლის დასრულებაც აუცილებელია ახალი ვიზიტის დასაწყებად. ახალი ვიზიტის დაწყების შემდეგ ეკრანზე გამოვა

ვიზიტის დეტალების ფორმა. დამატების  ღილაკზე დაჭერით ეკრანზე გამოვა ჩამონათვალი, საიდანაც უნდა აირჩიოთ ის ოპერაცია, რომელსაც ახორციელებთ არჩეულ კლიენტთან, ეს შეიძლება იყოს: შეკვეთა, გაყიდვა, გადახდა, დაბრუნება, დაბრუნების წამოღება ან მიტანის დადასტურება. დეტალების ჩამონათვალი დამოკიდებულია პროგრამაში შესული მომხმარებლის უფლებებზე. კონკრეტულ მომხმარებელს შეიძლება უჩანდეს ერთი ან რამდენიმე ოპერაცია.



შეკვეთა



ჩამონათვალიდან შეკვეთის არჩევით ხდება წინასწარი შეკვეთის დამატება, ბრძანების გამოყენებით ეკრანზე გამოვა იმ საქონლის სია, რომელზეც აქვს უფლება სისტემაში შესულ მომხმარებელს.

ჩამონათვალში საქონლის ძებნა შეგიძლიათ შტრიხკოდით ან დასახელებით, ამისთვის დააჭირეთ ძებნის  ღილაკს და ჩაწერეთ სასურველი სიმბოლოები. ძებნის გამარტივებისთვის შეგიძლიათ აგრეთვე გამოიყენოთ კატეგორიისა და მწარმოებლის ფილტრები.

 კატეგორია  მწარმოებელი, საიდანაც შესაძლებელია მხოლოდ იმ კატეგორიის, ან მწარმოებლის არჩევა, რომელზეც უფლებაც აქვს სისტემაში შესულ მომხმარებელს.

საქონლის სიაში, დასახელებებთან ერთად ჩანს საქონლის ფასები და ნაშთების რაოდენობები იმ საწყობში, რომელზე უფლებაც აქვს სისტემაში შესულ მომხმარებელს. სასურველი პროდუქტის ასარჩევად დააჭირეთ ჩანაწერს, შედეგად ეკრანზე გამოვა რაოდენობის შესაყვანი ფანჯარა. ჩაწერეთ შეკვეთის რაოდენობა. +, -, ++ და -- ღილაკებით შეგიძლიათ შეკვეთის რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, შესაბამისად ერთი, ან ორი ერთეულით. რაოდენობის დასაფიქსირებლად დააჭირეთ OK ღილაკს, ჩაწერილი რაოდენობის წაშლისთვის _ DEL ღილაკს, ხოლო ცვლილების გასაუქმებლად _ CAN ღილაკს.



შეყვანილი რაოდენობები გამოჩნდება სასაქონლო სიაში საქონლის დასახელებების მარჯვნივ. შეკვეთის დასაფიქსირებლად დააჭირეთ შენახვის ღილაკს . შედეგად ეკრანზე გამოვა შეკვეთის დეტალების ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ შეკვეთის ინფორმაცია. მიტანის თარიღში ავტომატურად ამოდის წინასწარ დადგენილი ლოგიკით გადათვლილი თარიღი, რომელიც შესაძლებელია შეიცვალოს. ამისთვის დააჭირეთ თარიღს და ეკრანზე გამოსულ კალენდარზე აირჩიეთ სასურველი მიტანის თარიღი. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია მიტანის დროის მითითებაც, ამისთვის დააჭირეთ სიტყვას „დრო“ და მიუთითეთ სასურველი საათი და წუთი.

← შეკვეთის შ...  + ×		
მიტანის თარიღი		
24/05/2018	დრო	საჩუქარი ☐
მიტანის ტიპი		
ჩვეულებრივი		
მაკარონი "Lumaconi" 500 გრ. PASTARICCO	105.00ლ	15გალიx7.00ლ
მაკარონი, "Penne rigate" 500 გრ. PASTARICCO	70.00ლ	10გალიx7.00ლ
წვენი, ანანასი 1 ლტ. FRESH	34.00ლ	17გალიx2.00ლ
ნექტარი, გარგარი 250 მლ. FRESH	108.00ლ	
54 ცალი		
სულ: 317.00ლ		


იმ შემთხვევაში თუ დამატებული შეკვეთა არის საჩუქარი, მაშინ მონიშნეთ ალამი „საჩუქარი“. ჩვეულებრივი მიტანის ტიპში შეგიძლიათ აირჩიოთ მიტანის გარეშე ჩამონათვალადან ერთ-ერთი. აგენტი წაიღებს

შეკვეთაზე შესაძლებელია კომენტარის მიწერა, ამისთვის დააჭირეთ ფორმის ქვედა მარჯვენა კუთხეში არსებულ ღილაკს , შეიყვანეთ კომენტარის ტექსტი და დააჭირეთ OK ღილაკს.

ამავე ფორმიდან შეგიძლიათ შეკვეთაში დამატებული საქონლის რაოდენობის რედაქტირება და წაშლა. ამისთვის კონკრეტული საქონლის ხაზი თითოთი გასმით გაასრიალეთ მარცხნივ, შედეგად გამოჩნდება რედაქტირებისა და წაშლის ღილაკები  . რედაქტირების ღილაკზე დაჭერისას გამოდის ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ შეკვეთის რაოდენობა, ხოლო წაშლის ღილაკზე დაჭრით გამოვა გამაფრთხილებელი შეტყობინება. დათანხმების შემთხვევაში საქონელი წაიშლება შეკვეთის სიიდან.

შეკვეთის შენახვისთვის დააჭირეთ შენახვის ღილაკს , შეკვეთაში ახალი საქონლის დასამატებლად გამოიყენეთ პლიუს ღილაკი , ხოლო შეკვეთის გასაუქმებლად  ღილაკი.


შენახვის ღილაკზე დაჭერით შეკვეთა დაემატება ვიზიტის დეტალების სიაში. შეკვეთის დეტალების სანახავად დააჭირეთ შეკვეთას. შედეგად გაიხსნება შეკვეთის ფორმა, საიდანაც შემდგომ შეკვეთის დეტალების ცვლილებას. ვიზიტიდან მთლიანი შეკვეთის წასაშლელად შეკვეთას



დააჭირეთ დიდხანს, ფორმის ზედა მხარეს გამოსულ მენიუში დააჭირეთ  ღილაკს და შემდეგ წაშლას.

ვიზიტში შეკვეთასთან ერთად შესაძლებელია სხვა დეტალების დამატებაც. ამისთვის ვიზიტის ფორმაში დააჭირეთ პლიუს  ღილაკს და აირჩიეთ სასურველი ოპერაცია. ვიზიტის დასასრულებლად დააჭირეთ დასრულების ღილაკს . იმისთვის რომ დაიწყოთ ახალი ვიზიტი, აუცილებელია წინა ვიზიტის დასრულება.

გაყიდვა




გაყიდვა გულისხმობს საქონლის რეალიზაციას დატვირთული ბორტიდან. ვიზიტში გაყიდვის არჩევის საშუალება აქვს მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელსაც აქვს ბორტიდან გაყიდვის უფლება. ბრძანების გამოყენებით ეკრანზე გამოვა ბორტზე დატვირთული საქონლის სია.

ჩამონათვალში საქონლის ძებნა შეგიძლიათ შტრიხკოდით ან დასახელებით, ამისთვის დააჭირეთ ძებნის  ღილაკს და ჩაწერეთ სასურველი სიმბოლოები. ძებნის გამარტივებისთვის შეგიძლიათ აგრეთვე გამოიყენოთ კატეგორიისა და მწარმოებლის ფილტრები, საიდანაც შესაძლებელია მხოლოდ იმ კატეგორიის, ან მწარმოებლის არჩევა, რომელზე უფლებაც




აქვს სისტემაში შესულ მომხმარებელს და რომლის ნაშთიც არის მომხმარებლის საწყობში.

საქონლის სიაში, დასახელებებთან ერთად ჩანს საქონლის ფასები და ბორტის ნაშთის რაოდენობები. სასურველი პროდუქტის გაყიდვის საბუთში დასამატებლად დააჭირეთ ჩანაწერს, შედეგად ეკრანზე გამოვა ფანჯარა, სადაც უნდა ჩაწეროთ გაყიდვის რაოდენობა. ამავე ფორმიდან შესაძლებელია საქონლის გაყიდვის ფასის შეცვლა, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს აქვს ამის უფლება. ახალი ფასის ჩასაწერად დააჭირეთ სიტყვას „ფასი“ და ჩაწერეთ სასურველი თანხა. +, -, ++ და -- ღილაკებით შეგიძლიათ ჩაწერილი რიცხვის გაზრდა ან შემცირება, შესაბამისად ერთი, ან ორი ერთეულით. მონაცემების დასაფიქსირებლად დააჭირეთ OK ღილაკს, ჩაწერილი რიცხვის წაშლისთვის _ DEL ღილაკს, ხოლო ცვლილების გასაუქმებლად _ CAN ღილაკს.




შეყვანილი რაოდენობები გამოჩნდება სასაქონლო სიაში საქონლის დასახელებების მარჯვნივ. მონაცემების დასაფიქსირებლად დააჭირეთ შენახვის ღილაკს . შედეგად ეკრანზე გამოვა გაყიდვის დეტალების ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ გაყიდვის ინფორმაცია. იმ შემთხვევაში თუ დამატებული საქონელი არის საჩუქარი, მაშინ მონიშნეთ ალამი „საჩუქარი“.




გაყიდვაზე შესაძლებელია კომენტარის მიწერა, ამისთვის დააჭირეთ ფორმის ქვედა მარჯვენა კუთხეში არსებულ ღილაკს  შეიყვანეთ კომენტარის ტექსტი და დააჭირეთ OK ღილაკს.

ამავე ფორმიდან შეგიძლიათ გაყიდვაში დამატებული საქონლის რაოდენობის რედაქტირება და წაშლა. ამისთვის კონკრეტული საქონლის ხაზი თითოთი გასმით გაასრიალეთ მარცხნივ, შედეგად გამოჩნდება



რედაქტირებისა და წაშლის ღილაკები. რედაქტირების ღილაკზე დაჭერისას გამოდის ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ გაყიდვის რაოდენობა, ხოლო წაშლის ღილაკზე დაჭრით გამოვა გამაფრთხილებელი შეტყობინება. დათანხმების შემთხვევაში საქონელი წაიშლება გაყიდვის სიიდან.


გაყიდვის შენახვისთვის დააჭირეთ შენახვის ღილაკს , შეკვეთაში ახალი საქონლის დასამატებლად გამოიყენეთ პლიუს ღილაკი , ხოლო შეკვეთის გასაუქმებლად  ღილაკი.



შენახვის ღილაკზე დაჭერით გაყიდვა დაემატება ვიზიტის დეტალების სიაში. გაყიდვის დეტალების სანახავად დააჭირეთ გაყიდვას. შედეგად გაიხსნება გაყიდვის ფორმა, საიდანაც შემდეგ გაყიდვის დეტალების ცვლილებას. ვიზიტიდან მთლიანი გაყიდვის წასაშლელად დააჭირეთ დიდხანს გაყიდვას, ფორმის ზედა მხარეს გამოსულ

მენიუში დააჭირეთ  ღილაკს და შემდეგ წაშლას.


ვიზიტების ფორმიდან შესაძლებელია გაყიდვის საბუთის საფუძველზე კლიენტისთვის ქვე-ზედნადების ატვირთვა, ამისთვის გაყიდვის ხაზს დააჭირეთ დიდხანს, შედეგად ფორმის ზედა მხარეს გამოჩნდება მენიუს ზოლი. პირველ ეტაპზე აუცილებელია საბუთის ატვირთვა, ამისთვის დააჭირეთ ატვირთვის ღილაკს . შედეგად გაყიდვის ბუღალტრული საბუთი გატარდება ძირითად პროგრამაში. გაყიდვას, რომლის საბუთიც გატარებულია ბუღალტერიაში, აქვს ნიშანი . ამის შემდეგ უკვე შეგიძლიათ ატვირთოთ ზედნადები. ამისთვის დააჭირეთ ღილაკს , შედეგად ქვე-ზედნადები აიტვირთება შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე. ვიზიტის დეტალების ფორმაში გაყიდვას გაუჩნდება ნიშანი  და მიეწერება ქვე-ზედნადების ნომერი.



დისტრიბუციის პროგრამის მომხმარებელს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ატვირთული ზედნადებისა და გატარებული საბუთის წაშლაც, ამისთვის დააჭირეთ კონკრეტულ საბუთს დიდხანს, ზედა მენიუში დააჭირეთ  ღილაკს და შემდეგ წაშლას. შედეგად წაიშლება ატვირთული ზედნადები, იგივე პროცესის გამეორების შემთხვევაში წაიშლება გატარებული საბუთი, ხოლო თუ მესამედ დააჭერთ წაშლას, ვიზიტის დეტალებიდან მთლიანად წაიშლება გაყიდვის ოპერაცია.

ვიზიტში ბორტის გაყიდვასთან ერთად შესაძლებელია სხვა დეტალების დამატებაც. (მაგალითად: გადახდა, შეკვეთა). ამისთვის ვიზიტის ფორმაში დააჭირეთ პლიუს  ღილაკს და აირჩიეთ სასურველი ოპერაცია. ვიზიტის დასასრულებლად დააჭირეთ დასრულების ღილაკს . ახალი ვიზიტის დასაწყებად აუცილებელია წინა ვიზიტის დასრულება.

გადახდა



ვიზიტში გადახდის ღირებულება გამოუჩნდებათ მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც აქვთ გადახდის ოპერაციის განხორციელების უფლება. ბრძანების გამოყენებით ეკრანზე გამოვა თანხის ჩასაწერი ფანჯარა. გადახდის დაფიქსირებისთვის შეიყვანეთ კლიენტისგან მიღებული თანხის ოდენობა და დააჭირეთ ღირებულება – „გადახდა“. შედეგად გადახდა ჩაემატება ვიზიტის დეტალების სიაში. თუ გსურთ ვიზიტიდან გადახდის წაშლა დააჭირეთ გადახდის ხაზს ღირებულება, ფორმის ზედა მხარეს გამოსულ მენიუში დააჭირეთ  ღირებულება და შემდეგ წაშლას.

← ვიზიტი		
ფილიალი N1 (შპს "ნიუ ვიქტორია") 19/მაი		
თამარ მეფის 18		
	გადახდა	100.00ლ 16:03
	შეკვეთა: 54 ცალი	317.00ლ 10:53

დაბრუნება

← დაბრუნებადი დოკუ...	
1025	19/მაი
1021	21/მაი
982	17/მაი
1013	19/მაი
1038	22/მაი


დაბრუნება გულისხმობს რეალიზებული პროდუქციის უკან დაბრუნებას. ვიზიტში პლიუს ღირებულებაზე დაჭერისას „დაბრუნება“ გამოუჩნდება მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელსაც აქვს დაბრუნების უფლება. დასაბრუნებელი საქონლის არჩევა შესაძლებელია ორი სხვადასხვა პრინციპით: მომხმარებელს დასაბრუნებელ სიაში შეიძლება გამოუჩნდეს რეალიზაციის საბუთები, ან რეალიზებული საქონელი. პირველ შემთხვევაში მომხმარებელი ირჩევს საბუთს, რომლიდანაც უნდა დაიბრუნოს საქონელი და შემდეგ ირჩევს კონკრეტულ საქონელს. მეორე შემთხვევაში მომხმარებელს უჩანს პირდაპირ რეალიზებული საქონლის სია, საიდანაც ირჩევს დასაბრუნებელ საქონელს. დაბრუნების სიის მართვა ხორციელდება პროგრამის თვისებებიდან (მენიუ -> თვისებები -> [დაბრუნება რამდენიმე საბუთიდან](#)).

← დაბრუნებადი პ...	
600-შოკოლადი (რძიანი)(199306202) ფასი: 6.75 ნაშთი: 7.0	
წვენი, ლიმონი 1 ლტ. FRESH(3800014288787) ფასი: 2.0 ნაშთი: 8.0	
წვენი, ფორთოხალი 1 ლტ. FRESH. (3800014283287) ფასი: 2.0 ნაშთი: 3.0	
ნექტარი, მსხალი 1 ლტ. FRESH(3800014288688) ფასი: 2.5 ნაშთი: 10.0	
წვენი, ალუბალი 1 ლტ. FRESH(3800014286882) ფასი: 2.0 ნაშთი: 2.0	
ნექტარი, ატამი 250 მლ. FRESH(3800014282389) ფასი: 1.2 ნაშთი: 5.0	


დაბრუნების სიაში გამოდის ბოლო ერთი კვირის რეალიზაციის საბუთები/საქონელი.

პერიოდის შესაცვლელად გამოიყენეთ კალენდრის ღილაკი  და აირჩიეთ დაბრუნების სასურველი პერიოდი. სასაქონლო სიაში ძებნისთვის გამოიყენეთ ძებნის ღილაკი . დასაბრუნებელი რაოდენობის მისათითებლად დააჭირეთ სასურველ საქონელს და მიუთითეთ რაოდენობა. შეყვანილი რაოდენობები გამოჩნდება სასაქონლო სიაში საქონლის დასახელებების მარჯვნივ. მონაცემების დასაფიქსირებლად დააჭირეთ შენახვის ღილაკს –

. შედეგად ეკრანზე გამოვა დაბრუნების დეტალების ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ დაბრუნების ინფორმაცია: მიტანის თარიღი, დრო, მიტანის ტიპი, დაბრუნების ტიპი. თითოეული პარამეტრის შესაცვლელად დააჭირეთ შესაბამის დასახელებას. ცვლილების შენახვისთვის ზედა მენიუში დააჭირეთ შენახვას – . თუ



გსურთ დაბრუნების ოპერაციის გაუქმება დააჭირეთ გაუქმების ღილაკს – , შედეგად ვიზიტის დეტალებიდან წაიშლება დაბრუნების ოპერაცია.




ვიზიტების ფორმიდან შესაძლებელია დაბრუნების საბუთის საფუძველზე კლიენტისთვის ზედნადების ატვირთვა, ამისთვის დაბრუნების ხაზს დააჭირეთ დიდხანს, შედეგად ფორმის ზედა მხარეს გამოჩნდება მენიუს ზოლი. პირველ ეტაპზე აუცილებელია საბუთის ატვირთვა, ამისთვის დააჭირეთ ატვირთვის ღილაკს – . შედეგად გაყიდვის ბუღალტრული საბუთი გატარდება ძირითად პროგრამაში. გაყიდვას, რომლის საბუთიც გატარებულია ბუღალტერიაში, აქვს ნიშანი – . ამის შემდეგ უკვე შეგიძლიათ ზედნადების ატვირთვა. ამისთვის დააჭირეთ ღილაკს – , შედეგად ზედნადები აიტვირთება შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე. ვიზიტის დეტალების ფორმაში გაყიდვას გაუჩნდება ნიშანი –  და მიეწერება ზედნადების ნომერი.

დისტრიბუციის პროგრამის მომხმარებელს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ატვირთული ზედნადებისა და გატარებული საბუთის წაშლაც, ამისთვის დააჭირეთ

კონკრეტულ საბუთს დიდხანს, ზედა მენიუში დააჭირეთ  ღილაკს და შემდეგ წაშლას. შედეგად წაიშლება ატვირთული ზედნადები, იგივე პროცესის გამეორების შემთხვევაში წაიშლება გატარებული საბუთი, ხოლო თუ მესამედ დააჭერთ წაშლას, ვიზიტის დეტალებიდან წაიშლება გაყიდვა.

დაბრუნების წამოღება

ვიზიტში დაბრუნების წამოღების ოპერაციის დამატება შეუძლია იმ მომხმარებელს, რომელიც არის მიმტანი და აქვს საქონლის დაბრუნების უფლება. ბრძანების გამოყენებით ეკრანზე გამოვა დაბრუნების საბუთების სია, პერიოდის




შესაცვლელად დააჭირეთ კალენდრის ღილაკს  და მიუთითეთ სასურველი პერიოდი. დაბრუნების წამოღების დასადასტურებლად მონიშნეთ თითოეული საბუთის მარცხენა მხარეს არსებული კვადრატი და დააჭირეთ ზედა მენიუში დადასტურების ღილაკს . დაბრუნების საბუთები დაემატება ვიზიტის დეტალს.

დაბრუნების საბუთის დეტალის სანახავად დააჭირეთ სასურველ დაბრუნებას. იმ შემთხვევაში თუ გსურთ წამოღების გაუქმება, ვიზიტის დეტალის სიაში დააჭირეთ

შესაბამის დაბრუნებას დიდხანს, ზედა მენიუში დააჭირეთ ღილაკს  და აირჩიეთ წაშლა. შედეგად დაბრუნების წამოღების დეტალი წაიშლება ვიზიტიდან. დაბრუნების წამოღებისთვის საჭიროა უკან დაბრუნების ზედნადების ატვირთვა. ამისთვის დაბრუნების საბუთს დააჭირეთ დიდხანს, შემდეგ ზედა მენიუში დააჭირეთ ღილაკს . შეგიძლიათ მონიშნოთ ერთდროულად რამდენიმე საბუთი, ზედნადების ატვირთვის ღილაკზე დაჭერისას ყველა საბუთზე აიტვირთება ცალ-ცალკე ზედნადები. ვიზიტში დაბრუნების ხაზს მიეწერება ზედნადების ნომერი და გაუჩნდება შესაბამისი ნიშანი .

მიტანის დადასტურება



ვიზიტში მიტანის დადასტურების ღილაკი უჩანს იმ მომხმარებელს, რომელიც არის მიმტანი. ბრძანების გამოყენებით ეკრანზე გამოვა იმ შეკვეთების სია, რომელიც დამატებულია არჩეულ კლიენტზე და რომლის მიმტანიც არის პროგრამაში შესული მომხმარებელი. შეკვეთების სია გამოდის მიტანის თარიღის მიხედვით. პერიოდის შესაცვლელად

დააჭირეთ კალენდრის ღილაკს  და მიუთითეთ სასურველი პერიოდი. მიტანის დასადასტურებლად მონიშნეთ თითოეული საბუთის მარცხენა მხარეს არსებული კვადრატი და დააჭირეთ ზედა მენიუში დადასტურების ღილაკს  შეკვეთის მიტანის საბუთები დაემატება ვიზიტის დეტალს.

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ვიზიტში დამატებული მიტანის დადასტურების წაშლა, დააჭირეთ დიდხანს შეკვეთას, შეგიძლიათ ამ გზით მონიშნოთ რამდენიმე შეკვეთა, შემდეგ ზედა მენიუში  ღილაკით აირჩიეთ წაშლა. შედეგად მონიშნული ჩანაწერები წაიშლება ვიზიტიდან. ვიზიტის დასრულების შემდეგ შეკვეთას მიენიჭება მიტანილი სტატუსი.

← ვიზიტი 		
ფილიალი N3 (შპს "ნიუ ვიქტორია") 11:49		
რუსთაველის 18		
 მიტანის... 1574/1	146.10ლ	11:55
 მიტანის... 1575/1	35.00ლ	11:55

მიტანის სია

მიტანის სია	🔍	📅
ფილიალი N2 (შპს "აისი") (201568976)	23/მაი	●
შეკვეთა №1570/1	48.00ლ	
ფილიალი N2 (შპს "აისი") (201568976)	23/მაი	●
შეკვეთა №1573/1	138.00ლ	
ფილიალი N2 (შპს "აისი") (201568976)	23/მაი	●
შეკვეთა №1572/1	194.00ლ	


მენიუში „მიტანის სია“ აქვს მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც არის მიმტანი. ჩამონათვალში ჩანს მხოლოდ იმ კლიენტების შეკვეთები, რომლის მიმტანიც არის პროგრამაში შესული მომხმარებელი. ფორმაში შესვლისას გამოდის იმ შეკვეთების სია, რომლის მიტანის თარიღიც არის მიმდინარე დღე. თარიღის ცვლილებისთვის დააჭირეთ

კალენდრის  ღილაკს და მიუთითეთ სასურველი თარიღი. მისატანი

შეკვეთების სიაში ძებნის გამარტივებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ძებნის  ღილაკი. სიაში ძებნა ხორციელდება კლიენტის საიდენტიფიკაციო ნომრით და დასახელებით. მისატანი შეკვეთის დეტალების სანახავად დააჭირეთ შეკვეთას. შედეგად ეკრანზე გამოვა მისატანი შეკვეთის დეტალები: მიმღები კლიენტის ფილიალის დასახელება, გამგზავნი საწყობის დასახელება და ანგარიშის ნომერი, შეკვეთის თარიღი, მიტანის თარიღი, მისატანი საქონლის სია რაოდენობებით და ფასებით, ჯამური თანხა.

← შეკვეთა №1573	
მიმღები ფილიალი N2 (შპს "აისი") (020)	19/მაი
გამგზავნი ქვე-საწყობი 1(1610NM1100)	23/მაი
	საჩუქარი ☐
წვენი, ტყის კენკრის მარცვლები 1 ლტ. FRESH	20.00ლ 10გალიx2.00ლ
წვენი, მარწყვი და ბანანი 1 ლტ. FRESH	34.00ლ 17გალიx2.00ლ
წვენი, პომიდორი 1 ლტ. FRESH	30.00ლ 15გალიx2.00ლ
წვენი, ტყის კენკრის მარცვლები 250 მლ. FRESH.	20.00ლ 10გალიx2.00ლ
სულ: 138.00ლ	

საცალო




მენიუში „საცალო“ უჩანს მხოლოდ ბორტის იმ მომხმარებელს, რომელსაც აქვს საცალო გაყიდვების უფლება. ფორმაში შესვლისას ჩანს სისტემაში შესული მომხმარებლის მიერ დამატებული საცალო გაყიდვების სია. დეტალების სანახავად დააჭირეთ კონკრეტულ ვიზიტს. ახალი ვიზიტის დასამატებლად საცალო გაყიდვების ფორმაში დააჭირეთ დამატების  ღილაკს. შედეგად ეკრანზე გამოვა კლიენტის ასარჩევი სია. იმ შემთხვევაში თუ აირჩიეთ კონკრეტულ კლიენტს, გადახვალთ ვიზიტების ფორმაში. საცალო გაყიდვის დასამატებლად კლიენტის ასარჩევ სიაში დააჭირეთ ღილაკს – „ვიზიტი პირი“. შედეგად ეკრანზე გამოვა ვიზიტის დეტალების ფორმა. საცალო კლიენტთან ვიზიტის ფარგლებში შეგიძლიათ დაამატოთ გაყიდვა, ან დაბრუნება. ამისთვის ვიზიტში დააჭირეთ დამატების ღილაკს  და აირჩიეთ სასურველი ოპერაცია.

1. **გაყიდვის** არჩევის შემთხვევაში ეკრანზე გამოვა ბორტზე დატვირთული საქონლის სია. ჩამონათვალი საქონლის ძებნა შეგიძლიათ შტრიხკოდით ან დასახელებით, ამისთვის დააჭირეთ ძებნის  ღილაკს და ჩაწერეთ სასურველი სიმბოლოები. ძებნის გამარტივებისთვის შეგიძლიათ აგრეთვე გამოიყენოთ კატეგორიისა და მწარმოებლის ფილტრები, საიდანაც შესაძლებელია მხოლოდ იმ კატეგორიის, ან მწარმოებლის არჩევა, რომელზე უფლებაც აქვს სისტემაში შესულ მომხმარებელს და რომლის ნაშთიც არის მომხმარებლის საწყობში.

☰ კატეგორია ☰ მწარმოებელი

საქონლის სიაში, დასახელებებთან ერთად ჩანს საქონლის ფასები და ბორტის ნაშთის რაოდენობები. სასურველი პროდუქტის გაყიდვის საბუთში დასამატებლად დააჭირეთ ჩანაწერს, შედეგად ეკრანზე გამოვა ფანჯარა, სადაც უნდა ჩაწეროთ გაყიდვის რაოდენობა. ამავე ფორმიდან შესაძლებელია საქონლის გაყიდვის ფასის შეცვლა, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს აქვს ამის უფლება. ახალი ფასის ჩასაწერად დააჭირეთ სიტყვას „ფასი“ და ჩაწერეთ სასურველი თანხა. +, -, ++ და -- ღილაკებით შეგიძლიათ ჩაწერილი რიცხვის გაზრდა ან შემცირება, შესაბამისად ერთი, ან ორი ერთეულით. მონაცემების დასაფიქსირებლად დააჭირეთ OK ღილაკს, ჩაწერილი რიცხვის წაშლისთვის – DEL ღილაკს, ხოლო ცვლილების გასაუქმებლად – CAN ღილაკს.



შეყვანილი რაოდენობები გამოჩნდება სასაქონლო სიაში საქონლის დასახელებების მარჯვნივ. მონაცემების დასაფიქსირებლად დააჭირეთ შენახვის ღილაკს .

შეკვეთის შე...	
საჩუქარი ☐	
მაკარონი "ciferi rigalli" 400 გრ. PASTARICCO	7.00ლ 1ცალიx7.00ლ
ნექტარი, ატამი 1 ლტ. FRESH	21.00ლ 3ცალიx7.00ლ
მაკარონი, "Rigatoni" 500 გრ. PASTARICCO	21.00ლ 3ცალიx7.00ლ
მაკარონი, "Spirali" 500 გრ. PASTARICCO	14.00ლ 2ცალიx7.00ლ
9 ცალი სულ: 63.00ლ	

ეკრანზე გამოვა გაყიდვის დეტალების ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ გაყიდვის ინფორმაცია, წაშალოთ საქონელი ან შეუცვალოთ რაოდენობა, ამისთვის კონკრეტული საქონლის ხაზი თითოთი გასმით გაასრიალეთ მარცხნივ, შედეგად გამოჩნდება რედაქტირებისა და წაშლის ღილაკები.

 რედაქტირების ღილაკზე დაჭერისას გამოდის ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ გაყიდვის რაოდენობა. წაშლის ღილაკზე დაჭრით გამოვა გამაფრთხილებელი შეტყობინება. დათანხმების შემთხვევაში საქონელი წაიშლება გაყიდვის სიიდან. იმ შემთხვევაში თუ დამატებული საქონელი არის საჩუქარი, მაშინ მონიშნეთ ალამი „საჩუქარი“.

გაყიდვაზე შესაძლებელია კომენტარის მიწერა, ამისთვის დააჭირეთ ფორმის ქვედა მარჯვენა კუთხეში არსებულ ღილაკს , შეიყვანეთ ტექსტი და დააჭირეთ OK ღილაკს.

თუ გსურთ შეკვეთის სიის ბეჭდვა, დააჭირეთ ბეჭდვის ღილაკს , შედეგად ეკრანზე გამოვა საბეჭდი ფორმა, რომელიც შეგიძლიათ დაბეჭდოთ, ან შეინახოთ მოწყობილობის მეხსიერებაში. გაყიდვის შენახვისთვის დააჭირეთ შენახვის ღილაკს .

გსურთ გაყიდვაში ახალი საქონლის დამატება დააჭირეთ მენიუს ღილაკს  და შემდეგ დამატებას, შეკვეთის გასაუქმებლად მენიუს ღილაკის გამოყენების შემდეგ დააჭირეთ გაუქმებას. ამით საცალო გაყიდვა გაქრება ვიზიტის დეტალების სიიდან.

← ვიზიტი	
ფიზიკური პირი	12:22
 გაყიდვა: 9 ცალი	63.00ლ 15:45

შენახვის ღილაკზე  დაჭერით გაყიდვა დამატება ვიზიტის დეტალების სიაში. დეტალების სანახავად დააჭირეთ გაყიდვას. შედეგად გაიხსნება ფორმა, საიდანაც შეძლებთ გაყიდვის დეტალების ცვლილებას ზემოთ აღწერილი პროცესის მიხედვით.

2. საცალო ვიზიტში დაბრუნების ოპერაცია გულისხმობს, საცალო რეალიზაციის უკან დაბრუნებას. დასაბრუნებელი საქონლის არჩევა შესაძლებელია ორი სხვადასხვა პრინციპით: მომხმარებელს დასაბრუნებელ სიაში შეიძლება გამოუჩნდეს რეალიზაციის საბუთები, ან

← დაბრუნებადი 3... 🔍 📅

600-შოკოლადი (რძიანი)(199306202)
ფასი: 6.75 ნაშთი: 7.0

წვენი, ლიმონი 1 ლტ.
FRESH(3800014288787)
ფასი: 2.0 ნაშთი: 8.0

წვენი, ფორთოხალი 1 ლტ. FRESH.
(3800014283287)
ფასი: 2.0 ნაშთი: 3.0

ნექტარი, მსხალი 1 ლტ.
FRESH(3800014288688)
ფასი: 2.5 ნაშთი: 10.0

წვენი, ალუბალი 1 ლტ.
FRESH(3800014288682)
ფასი: 2.0 ნაშთი: 2.0

ნექტარი, ატამი 250 მლ.
FRESH(3800014282389)
ფასი: 1.2 ნაშთი: 5.0

📅

რეალიზებული საქონელი. პირველ შემთხვევაში მომხმარებელი ირჩევს საბუთს, რომლიდანაც უნდა დაიბრუნოს საქონელი და შემდეგ ირჩევს კონკრეტულ საქონელს. მეორე შემთხვევაში მომხმარებელს უჩანს პირდაპირ რეალიზებული საქონლის სია, საიდანაც ირჩევს დასაბრუნებელ საქონელს. დაბრუნების სიის მართვა ხორციელდება პროგრამის თვისებებიდან (მენიუ -> თვისებები -> დაბრუნება რამდენიმე საბუთიდან).

დაბრუნების სიაში საბუთები გამოდის მითითებული პერიოდის მიხედვით. პერიოდის შესაცვლელად გამოიყენეთ კალენდრის ღილაკი  და აირჩიეთ სასურველი პერიოდი.

სასაქონლო სიაში ძებნისთვის გამოიყენეთ ძებნის ღილაკი  დასაბრუნებელი რაოდენობის მისათითებლად დააჭირეთ სასურველ საქონელს და მიუთითეთ რაოდენობა. შეყვანილი რაოდენობები გამოჩნდება სასაქონლო სიაში საქონლის დასახელებების მარჯვნივ. მონაცემების დასაფიქსირებლად დააჭირეთ შენახვის ღილაკს

. შედეგად ეკრანზე გამოვა დაბრუნების დეტალების ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ დაბრუნების ინფორმაცია: მიტანის თარიღი, დრო, მიტანის ტიპი, დაბრუნების ტიპი. თითოეული პარამეტრის შესაცვლელად დააჭირეთ შესაბამის დასახელებას. ცვლილების შენახვისთვის ზედა მენიუში დააჭირეთ შენახვას . თუ

← დაბრუნება 📅 ✕

მიტანის თარიღი მიტანის ტიპი
25/05/2018 დრო ჩვეულებრივი
დაბრუნების ტიპი ჩვეულებრივი

წვენი, ტყის კენკრის მარცვლები 250 მლ. FRESH.
(3800014284888) 4.00ლ
2გალიx2.00ლ

გსურთ დაბრუნების ოპერაციის გაუქმება დააჭირეთ გაუქმების ღილაკს , შედეგად ვიზიტის დეტალებიდან წაიშლება დაბრუნების ოპერაცია.

← 📅 🖨️ 🗑️

ფიზიკური პირი 12:22

✓ გაყიდვა: 9 ცალი 63.00ლ 15:45

🔄 დაბრუნება 14.00ლ 16:14

ვიზიტში დეტალზე დიდხანს დაჭრით გაჩნდება ზედა მენიუ, საბუთის ასატვირთად დააჭირეთ ატვირთვის ღილაკს . ვიზიტის ატვირთულ დეტალებს გაუჩნდება ნიშანი . საბუთის ბეჭდვისთვის დააჭირეთ ბეჭდვის ღილაკს , შედეგად ეკრანზე გამოვა საბეჭდი ფორმა, რომელიც შეგიძლიათ დაბეჭდოთ, ან შეინახოთ მოწყობილობის მეხსიერებაში. გაყიდვის ან დაბრუნების გასაუქმებლად დააჭირეთ ზედა მენიუს ღილაკს . ისეთ ოპერაციას, რომლის საბუთიც ატვირთულია, ვერ გააუქმებთ. ვიზიტის დასრულებისთვის დააჭირეთ ვიზიტის დასრულების ღილაკს .

შეკვეთები

შეკვეთები		
1410NM1100 - ფილიალი N1 (შპს "ნიუ ვიქტორია") თამარ მეფის 18 შეკვეთა №1586	331.00ლ	
1410NM1200 - ფილიალი N2 (შპს "ნიუ ვიქტორია") ალმაშენებლის 12 შეკვეთა №1587	94.00ლ	
1410NM1300 - ფილიალი N3 (შპს "ნიუ ვიქტორია") რუსთაველის 18 შეკვეთა №1588	179.30ლ	
010 - ფილიალი N1 (შპს "აისი") შეკვეთა №1589	263.30ლ	
020 - ფილიალი N2 (შპს "აისი") შეკვეთა №1590	365.00ლ	
სულ: 1,232.60ლ		

ფორმაში ჩანს პროგრამაში შესული მომხმარებლის მიერ მიმდინარე დღეს დამატებული შეკვეთების სია ჯამური თანხის მითითებით. სიაში ძეგნის გამარტივებისთვის გამოიყენეთ ძეგნის ლილაკი . გასული პერიოდის შეკვეთების სანახავად დააჭირეთ კალენდრის ლილაკს  და აირჩიეთ სასურველი თარიღი. კონკრეტულ ჩანაწერზე დაჭერით გაიხსნება შეკვეთის დეტალების ფორმა, სადაც ჩანს მიმღები კომპანიის ფილიალი, გამგზავნი საწყობი, შეკვეთის თარიღი, მიტანის თარიღი და შეკვეთილი საქონლის სია ჯამური თანხით. „შეკვეთები“ არის საინფორმაციო დანიშნულების ფორმა, აქედან არ ხდება ახალი შეკვეთების დამატება.

დაბრუნებები

☰ დაბრუნებები	🔍	📅
შპს "ნიუ ვიქტორია" (ფილიალი N3) 26/მაი რუსთაველის 18 702	12.50	
შპს "ნიუ ვიქტორია" (ფილიალი N3) 26/მაი რუსთაველის 18 0379588443	21.00	●
შპს "ნიუ ვიქტორია" (ფილიალი N1) 23/მაი თამარ მეფის 18 0379145862	14.00	●
შპს "ნიუ ვიქტორია" (ფილიალი N1) 26/მაი თამარ მეფის 18 0379133915	87.00	●

მონიშნულია ის საბუთები, რომლის ზედნადებიც ატვირთულია. კონკრეტულ ჩანაწერზე დაჭერით გაიხსნება დაბრუნების საბუთის დეტალების ფორმა, სადაც ჩანს დაბრუნების საწყობი, კლიენტის, რომლისგანაც ბრუნდება საქონელი, დაბრუნების თარიღი და დასაბრუნებელი საქონლის სია ჯამური თანხით. დაბრუნების სიაში, კონკრეტულ ჩანაწერზე დიდხანს დაჭერით იხსნება ახალი ვიზიტი იმ კლიენტზე, რომლის დაბრუნებასაც დააჭერთ. ანუ ამავე ფორმიდან შეგიძლიათ ახალი ვიზიტის დამატება.

ფორმაში ჩანს დაბრუნების ის საბუთები, რომლის მიმტანიც არის პროგრამაში შესული მომხმარებელი. სიაში ძეგნის გამარტივებისთვის

გამოიყენეთ ძეგნის ღილაკი . სასურველი დაბრუნების მოძებნა შეგიძლიათ კომპანიის დასახელებით, საიდენტიფიკაციო ნომრით, კლიენტი ფილიალის მისამართით ან დაბრუნების საბუთის ნომრით. დაბრუნების საბუთები სიაში გამოდის მითითებული პერიოდის მიხედვით. განსხვავებული პერიოდის მისათითებლად გამოიყენეთ კალენდრის

ღილაკი . დაბრუნებების სიაში მწვანედ

← საბუთი	
DB: დაბრუნების საწყობი (1611000100)	26/მაი
CR: შპს "ნიუ ვიქტორია" (ფილიალი N3)	
№: 701	
წვენი, ტყის კენკრის მარცვლები 250 მლ. FRESH.	2.1187ლ 1x2.1187ლ
წვენი, ტყის კენკრის მარცვლები 250 მლ. FRESH.	1.722ლ 1x1.722ლ

კლიენტები

☰	კლიენტები	🔍
ფილიალი N1 (შპს "ნიუ ვიქტორია")(1410NM1100)	თამარ მეფის 18	2,674.75ლ/0.00ლ
ფილიალი N2 (შპს "ნიუ ვიქტორია")(1410NM1200)	ალმაშენების 12	1,401.89ლ/0.00ლ
ფილიალი N3 (შპს "ნიუ ვიქტორია")(1410NM1300)	რუსთაველის 18	2,116.02ლ/0.00ლ
ფილიალი N1 (შპს "აისი")(010)		2,006.66ლ/0.00ლ
ფილიალი N2 (შპს "აისი")(020)		554.40ლ/0.00ლ

კლიენტების ფორმაში შესვლისას ჩანს პროგრამაში შესული მომხმარებლის კლიენტების სია. ფორმას აქვს საინფორმაციო დანიშნულება, სადაც შესაძლებელია კლიენტის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიღება. ჩამონათვალში ძეგნის გამარტივებისთვის გამოიყენეთ ლილაკი – 🔍 და დაიწყეთ ტექსტის წერა. სიაში ძეგნა ხორციელდება კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომრით, დასახელებით ან ფილიალის მისამართით. კლიენტის ასარჩევად დააჭირეთ სასურველ ჩანაწერს. შედეგად გაიხსნება ფორმა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია კლიენტი კომპანიის არჩეული ფილიალის შესახებ. ინფორმაციის გვერდზე ჩანს კომპანიის დასახელება საიდენტიფიკაციო

ნომრით, ფილიალის მისამართი. კრედიტის ინფორმაციაში მოცემულია კლიენტი ფილიალის პარამეტრები, რომელიც გაითვალისწინება შეკვეთის განხორციელებისას. ვალის ინფორმაციაში ჩანს კლიენტი ფილიალის სრული დავალიანება და მათ შორის ვადაგადაცილებული თანხა, შენიშვნის ველში ჩანს კლიენტი კომპანიის შენიშვნა.

← ფილიალი N2 (შპს "ნიუ ვ...	ინფორმაცია	ვიზიტები	საბუთები
94.00ლ 10.00ლ 0.00ლ 0.00ლ 0.00ლ 0.00ლ	29/მაი		
47 ცალი			
0.00ლ 0.00ლ 145.00ლ 0.00ლ 0.00ლ 0.00ლ	25/მაი		
504.00ლ 0.00ლ 0.00ლ 0.00ლ 0.00ლ 0.00ლ	22/მაი		
72 ცალი			
0.00ლ 0.00ლ 0.00ლ	19/მაი		

ვიზიტების გვერდზე ჩანს პროგრამაში შესული მომხმარებლის მირ დამატებული ვიზიტები კლიენტის

არჩეულ ფილიალზე. პირველი თანხა აჩვენებს შეკვეთისა და გაყიდვის ღირებულებას, მეორე რიცხვი – გადახდის თანხას, ხოლო მესამე – დაბრუნებას. ყველა ვიზიტს უწერია დამატების თარიღი. ვიზიტის დეტალების სანახავად დააჭირეთ კონკრეტულ ვიზიტს, შედეგად ეკრანზე გამოვა იმ ოპერაციების ჩამონათვალი, რომელიც დამატებულია ვიზიტში.

← ფილიალი N2 (შპს "ნიუ ვ...	ინფორმაცია	ვიზიტები	საბუთები
კომპანია შპს "ნიუ ვიქტორია" (12345678910)			
☒ იხდის დღგ-ს			
მისამართი ალმაშენების 12			
კრედიტი ვადაგადაცილება: 3 დღე			
ლიმიტი: 1,000.00ლ			
გადაცილება: 0.00ლ			
ვალი სრული: 112.50ლ			
გადაცილებული: 112.50ლ			
შენიშვნა ნიუ ნიუ ვიქტორია			

← ვიზიტი	ფილიალი N2 (შპს "ნიუ ვიქტორია")	29/მაი
ალმაშენების 12		
📄 გადახდა	10.00ლ	17:15
🚚 შეკვეთა: 47 ცალი	94.00ლ	17:03

კლიენტის ინფორმაციის ფორმაში საბუთების გვერდზე ჩანს ბოლო ერთი კვირის საბუთები, რომელიც დამატებულია არჩეული კლიენტის ფილიალისთვის. საწყის ნაშთში მითითებულია კლიენტის დავალიანება პერიოდის დასაწყისისთვის, ხოლო საბოლოო ნაშთში კლიენტის დავალიანება მიმდინარე თარიღის მდგომარეობით. საბუთის დეტალების სანახავად დააჭირეთ სასურველ ჩანაწერს, შედეგად ეკრანზე გამოვა ფორმა, სადაც ჩანს საბუთის ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე. რეალიზაციის საბუთში ჩანს: კლიენტი

← საბუთი	
შპს "ნიუ ვიტორია" (ფილიალი N2) CR: ქვე-საწყობი 1 (1610NM1100) №: 1070	26/მაი
მაკარონი, "Rigatoni" 500 გრ. PASTARICCO	175.00ლ 25x7.00ლ
მაკარონი, "ciferi rigalli" 300 გრ. PASTARICCO	14.00ლ 2x7.00ლ

ფილიალის დასახელება (DB), გამგზავნი საწყობი (CR), საბუთის ნომერი, საბუთს თარიღი და საქონლის ჩამონათვალი

რაოდენობებით და თანხებით. დაბრუნების საბუთში ჩანს საწყობი, რომელზეც ბრუნდება საქონელი (DB), კლიენტი ფილიალის დასახელება (CR), საბუთის ნომერი, საბუთს თარიღი და საქონლის ჩამონათვალი რაოდენობებით და თანხებით. გადახდის საბუთში ჩანს სალაროს ანგარიში, რომელზეც ხდება თანხის მიღება (DB), კლიენტი ფილიალის დასახელება (CR), საბუთის ნომერი და საბუთს თარიღი.

← ფილიალი N2 (შპს "ნიუ ვიტორია")	
ინფორმაცია	კონტენტები
საწყისი ნაშთი	78.50ლ 24/მაი
308 - საქონლის დაბრუნება...	-6.00ლ 26/მაი
308 - საქონლის დაბრუნება...	-125.00ლ 26/მაი
308 - საქონლის დაბრუნება...	-14.00ლ 26/მაი
230 - დისტრიბუციის რეალიზაცია (არა...)	189.00ლ 26/მაი
702 - დებიტ. დავალ. დაფარვა ნაღდი...	-10.00ლ 29/მაი
საბოლოო ნაშთი	112.50ლ დღეს

კლიენტის ინფორმაციაში რუკის გვერდზე ჩანს კლიენტი ფილიალის ადგილმდებარეობა რუკაზე. საიდანაც შეგიძლიათ Google Map-ის დახმარებით ნახოთ მიმართულებები კლიენტი კომპანიის ფილიალში მისასვლელად. აქედანვე არის შესაძლებელი რუკაზე ფილიალის მდებარეობის შეცვლა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროგრამაში შესულ მომხმარებელს ექნება შესაბამისი უფლება.

დავალებები

☰	დავალებები	🔍
☐	ფილიალი N2 (შპს "ნიუ... გთხოვთ, წამოიღოთ ფილიალთან გაფორმებული ხელმოწერილი ხელშეკრულება.	
☒	ფილიალი N1 (შპს "ნიუ... სასწრაფოდ დაიფაროს კლიენტის მიმდინარე დავალიანების მინიმუმ 40%.	

ფორმაში ჩანს პროგრამაში შესული მომხმარებლის პირადი დავალებები ტექსტურად. დავალებები ემატება კლიენტის ფილიალების მიხედვით. სიაში ძეგნა შესაძლებელია დავალების ტექსტში შემავალი ნებისმიერი სიტყვით. თუ კონკრეტული დავალების მარცხნივ არსებული კვადრატი მონიშნულია, ეს იმას ნიშნავს, რომ დავალება შესრულებულია.

გეგმა

ძირითადი პროგრამიდან შესაძლებელია დისტრიბუციის პროგრამის თითოეული მომხმარებლისთვის რეალიზაციის გეგმების დადგენა მწარმოებლის პროდუქციის მიხედვით. გეგმა შეიძლება იყოს რაოდენობრივი ან თანხობრივი.

სალაროს ამონაწერი

სალაროს ამონ...		
საწყისი ნაშთი	85.00ლ	18/მაი
 შპს "აისი" (ფილიალი N2)(1410AIS200) დებიტ. დავალ. დაფარვა ნაღდი (პრეს.)_1022(254)	20.00ლ	19/მაი
 შპს "აისი" (ფილიალი N2)(1410AIS200) დებიტ. დავალ. დაფარვა ნაღდი (პრეს.)_1022(255)	100.00ლ	19/მაი
 შპს "აისი" (ფილიალი N2)(1410AIS200) დებიტ. დავალ. დაფარვა ნაღდი (პრეს.)_1022(256)	50.00ლ	19/მაი
 შპს "ნიუ ვიქტორია" (ფილია... დებიტ. დავალ. დაფარვა ნაღდი (პრეს.)_1022(257)	100.00ლ	22/მაი
საბოლოო ნაშთი	365.00ლ	10/ივნ

ფორმაში ჩანს პროგრამაში შესული მომხმარებლის სალაროს ანგარიშის ბრუნვა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში. ამონაწერის პერიოდის შეცვლა შესაძლებელი

კალენდრის ღილაკით . პირველ ხაზზე ჩანს სალაროს ანგარიშის თანხობრივი ნაშთი პერიოდის საწყისი თარიღისთვის, შემდეგ შემოსავლის და გასავლის საბუთების ინფორმაცია: კლიენტის ფილიალის დასახელება, საბუთის შინაარსი, საბუთის ნომერი, თანხა და თარიღი. ბოლო ხაზზე წერია სალაროს ანგარიშის თანხობრივი ნაშთი პერიოდის ბოლო თარიღისთვის.

ბალანსი

ბალანსი	Q	≡
ჯამი	908.90ლ	
ფილიალი N1 (შპს "აისი")	128.20ლ	
ფილიალი N2 (შპს "აისი")	210.00ლ	
ფილიალი N1 (შპს "ნიუ ვიქტორია")	49.30ლ	
ფილიალი N2 (შპს "ნიუ ვიქტორია")	206.50ლ	

დეტალური ინფორმაციის სანახავად დააჭირეთ სასურველ კლიენტს, შედეგად ჩამოიშლება სია, სადაც ჩანს კლიენტის დავალიანების საწყისი ნაშთი, ოპერაციების ჩამონათვალი მითითებული პერიოდის ჯამური თანხებით და საბოლოო ნაშთი. გაყიდვის თანხაში დაჯამებულია რეალიზაციის საბუთების თანხები. იგივე ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ყველა კლიენტისთვის ჯამურად, ამისთვის დააჭირეთ ჩამონათვალის პირველ ხაზს. შედეგად გამოჩნდება ოპერაციების თანხები ყველა კლიენტის შესაბამისი თანხების დაჯამებით.

ბალანსი	Q	≡
ჯამი	908.90ლ	
საწყისი ნაშთი	105.70ლ	
გაყიდვა	1,285.70ლ	
ნაღდი გადახდა	110.00ლ	
უნაღდო	0.00ლ	
დაბრუნება	372.50ლ	
სხვა	0.00ლ	
საბოლოო ნაშთი	908.90ლ	

ბალანსი არის ანალიზური ფორმა, რომელიც გვიჩვენებს მომხმარებელზე ჩაბმულ კლიენტებზე განხორციელებული ოპერაციების ჯამურ მონაცემებს. ფორმაში შესვლისას ჩანს კლიენტების ჩამონათვალი ჯამური დავალიანებებით მითითებული პერიოდის ბოლო თარიღისთვის. პერიოდად დაყენებულია ბოლო ერთი კვირა,

რომლის ცვლილებაც შეგიძლიათ კალენდრის დილაკით პირველ ხაზზე ჩანს ყველა კლიენტის ჯამური დავალიანება პერიოდის საწყისი თარიღისთვის. კლიენტის

ჯამი	908.90ლ
ფილიალი N1 (შპს "აისი")	128.20ლ
ფილიალი N2 (შპს "ნიუ ვიქტორია")	206.50ლ
საწყისი ნაშთი	78.50ლ
გაყიდვა	283.00ლ
ნაღდი გადახდა	10.00ლ
უნაღდო	0.00ლ
დაბრუნება	145.00ლ
სხვა	0.00ლ
საბოლოო ნაშთი	206.50ლ
ფილიალი N3 (შპს "ნიუ ვიქტორია")	314.90ლ

ნაშთები

ნაშთები არის ანალიზური ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ბორტის რეალიზაციებს.

ფორმაში ძეხნის გამარტივებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ზედა მარჯვენა კუთხეში არსებული ძეხნის ღილაკი , რომელიც საშუალებას მოგცემთ მოძებნოთ საქონელი შტრიხკოდით ან დასახელებით.

ლოკალური ნაშთის სიაში წარმოდგენილია საქონლის ის რაოდენობები, რომელიც დარჩენილია ბორტზე.

ნაშთები	
ლოკალური	სერვერი
მაკარონი, "Tripolini" 500 გრ. PASTARICCO(8690946350912)	13
მაკარონი, "postariko" 5კგ PASTARICCO(8690946380001)	5
ნექტარი, ატამი 1 ლტ. FRESH(3800014283386)	20
ნექტარი, გარგარი 250 მლ. FRESH(3800014282082)	27
ნექტარი, მსხალი 1 ლტ. FRESH(3800014288688)	18

ნაშთები

🔍

ლოკალური

სერვერი

მაკარონი "ciferi rigalli" 400 გრ.
PASTARICCO(690946251417)

დატვირთვა

გაყიდვა

ნაშთი

დაბრუნება

15

3

12

0

მაკარონი "Lumaconi" 500 გრ.
PASTARICCO(8690946350950)

დატვირთვა

გაყიდვა

ნაშთი

დაბრუნება

15

8

7

0

მაკარონი , "ciferi rigalli" 300 გრ
PASTARICCO(690946250632)

დატვირთვა

გაყიდვა

ნაშთი

დაბრუნება

17

8

9

0

მაკარონი ლაბშა
კვერცხით(4607022093551)

დატვირთვა

გაყიდვა

ნაშთი

დაბრუნება

15

0

15

0

სერვერის სიაზე გადასვლისას მომხმარებელს საშუალება აქვს ნახოს ბორტზე დატვირთული საქონლის ანალიზი. პირველ სვეტში წარმოდგენილია საქონლის ის რაოდენობები, რომლითაც დაიტვირთა ბორტი, მეორე სვეტში არის საქონლის ის რაოდენობები, რომელთა გაყიდვის საბუთებიც ატვირთა მომხმარებელმა სერვერზე. ნაშთის სვეტში მოცემულია ბორტზე დარჩენილი საქონლის რაოდენობები, ხოლო დაბრუნების სვეტში უკან დაბრუნების ოპერაციით ბორტზე შემოსული საქონლის რაოდენობები.

საქონლის კატალოგი



ბრძანების გამოყენებით ეკრანზე გამოვა საქონლის კატალოგის ფანჯრა, რომელიც წარმოადგენს სასაქონლო ცნობარს.

კატალოგში მომხმარებელს შეუძლია ნახოს იმ საქონლის ჩამონათვალი და მახასიათებლები, რომელზეც აქვს უფლება.

სიაში ძეხვის გასამარტივებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა სახის ფილტრები. მარჯვენა ზედა კუთხეში არსებული ძეხვის ღილაკით  შეგიძლიათ სიაში მოძებნოთ სასურველი საქონელი შტრიხკოდით ან დასახელებით.

მის გვერდით არსებული  ღილაკით შესაძლებელია სიის გაფილტვრა სურათის, ან ნაშთის მიხედვით. პირველი ალმის მონიშვნის შემთხვევაში სიაში დარჩება მხოლოდ ის საქონელი, რომელსაც აქვს სურათი, ხოლო მეორე ალმის მონიშვნის შემთხვევაში სიაში დარჩება მხოლოდ ისეთი საქონელი, რომლის ნაშთიც არის მარაგში.

მხოლოდ სურათით ☐

მარაგში ☐

ძეხვის გასამარტივებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ კატეგორიისა და მწარმოებლის ფილტრები. ჩამონათვალიდან შესაძლებელია მხოლოდ იმ კატეგორიის და მწარმოებლის არჩევა, რომლებზეც აქვს უფლება მომხმარებელს.

კონკრეტულ საქონელზე დაჭერით ეკრანზე გამოდის საქონლის პარამეტრები, რომელიც ივსება და რედაქტირდება Apex ERP პროგრამიდან. კონკრეტულ საქონელზე შესაძლებელია რამდენიმე სურათის მიბმა. კატალოგის სიაში გამოჩნდება ის სურათი, რომელიც იქნება მონიშნული როგორც უპირატესი.



სხვა

თვისებები – ბრძანების გამოყენებით ეკრანზე გამოვა ფანჯარა, საიდანაც შეგიძლიათ შეცვალოთ პროგრამის სხვადასხვა პარამეტრი. თვისებების შეცვლა აგრეთვე შეგიძლიათ პროგრამის ავტორიზაციის გავლამდე. დეტალური აღწერა იხილეთ: – [თვისებები](#).

სინქრონიზაცია – ბრძანება უზრუნველყოფს განახლებული ცნობარების ჩამოტვირთვას სერვერიდან. მაგალითად: განახლებული ფასების, ახალი საქონლის, ახალი კლიენტების და ა.შ. შეგიძლიათ დააყენოთ ავტომატური სინქრონიზაცია გარკვეული პერიოდულობით. ამის განხორციელება შესაძლებელია თვისებებიდან – [სინქრონიზაციის სიხშირე](#).

გასვლა – ბრძანების გამოყენებით ხდება მომხმარებლის გამოსვლა პროგრამიდან. გასვლის დილაკზე დაჭერით დაბრუნდებით ავტორიზაციის ფანჯარაში. ამის შემდეგ პროგრამაში მუშაობისთვის უნდა გაიაროთ ავტორიზაცია თავიდან.